

შვეიცარიის ქ. ჟენევაში მდებარე ბირთვული კვლევების ევროპულ ცენტრში (CERN - Organisation Européenne pour la Recherche Nucléaire) ერთკვირიან სტაჟირებაზე გასაგზავნი ფიზიკის მასწავლებლების შესარჩევი კონკურსის პირველი ეტაპის

განაცხადი

☞ ა(ა)იპ აჭარის განათლების ფონდი (ბათუმის მასწავლებლის სახლი) აცხადებს საჯარო და კერძო სკოლის ფიზიკის მასწავლებელთა კონკურსს ქ. ჟენევაში (შვეიცარია) მდებარე ბირთვული კვლევების ევროპულ ცენტრში (CERN - Organisation Européenne pour la Recherche Nucléaire) ერთკვირიან სტაჟირებაზე გასაგზავნად. **სტაჟირება განხორციელდება 2023 წლის 26 მარტიდან 1 აპრილის ჩათვლით.**

☞ კონკურსის შედეგად შეირჩევა ფიზიკის 4 პედაგოგი აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკის ტერიტორიაზე მოქმედი საჯარო და კერძო სკოლებიდან. საჯარო სკოლების პედაგოგების სტაჟირების სრული დაფინანსება განხორციელდება ა(ა)იპ აჭარის განათლების ფონდის (ბათუმის მასწავლებლის სახლი) მიერ, ხოლო კერძო სკოლის პედაგოგების სტაჟირება დაფინანსდება კერძო სკოლის მიერ.

☞ სტაჟიორი ვალდებულია ვიზიტის დასრულებიდან ერთი თვის ვადაში, საჯარო სკოლაში შექმნას არანაკლებ 10 წევრისაგან (მოსწავლე) შემდგარი სასკოლო კლუბი, რომლის მოქმედების ვადაც განისაზღვრება არანაკლებ ერთი სასწავლო წლით.

☞ **კონკურსის პირობები:**

კონკურსში მონაწილე:

1. უნდა ასწავლიდეს აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკის ტერიტორიაზე მოქმედ **ზოგადსაგანმანათლებლო საჯარო ან კერძო სკოლაში;**
2. უნდა ფლობდეს **უფროსი, წამყვანი ან მენტორი** მასწავლებლის სტატუსს.
3. სტაჟირების პროგრამის ფარგლებში პედაგოგი **არ უნდა იყოს ნამყოფი** ზემოხსენებულ კვლევით ცენტრში.

☞ **კონკურსის ეტაპები:**

კანდიდატების შერჩევა მოხდება ორ ეტაპად:

I ეტაპი: დოკუმენტაციის ელექტრონულად მიღება/გადარჩევა

II ეტაპი: კომისიასთან გასაუბრება, გაკვეთილის წარდგენა/პრეზენტაცია და მისი განხილვა.

☞ **წარსადგენი დოკუმენტაცია:**

1. CV ქართულ ენაზე
2. პირადობის მოწმობის ასლი
3. დიპლომის ასლი
4. ცნობა სამუშაო ადგილიდან ფიზიკის საგნის მასწავლებლობის შესახებ სქემაში არსებული **სტატუსის მითითებით.**

** შენიშვნა: კონკურსში კერძო სკოლის მასწავლებლის მონაწილეობის შემთხვევაში, კონკურსანტმა დამატებით უნდა წარმოადგინოს სკოლის ადმინისტრაციის თანხმობა დაფინანსების თაობაზე.*

5. ჩატარებული გაკვეთილი PowerPoint პრეზენტაციის სახით (8-10 სლაიდი; თხრობის ხანგრძლივობა 10-12 წუთი)

** შენიშვნა: პრეზენტაცია წარმოდგენილი უნდა იყოს საგაკვეთილო ნიმუშის სახით და უნდა მოიცავდეს: მოსწავლეზე ორიენტირებულ კონკრეტულ სასწავლო სტრატეგიებს, მეთოდებს და მიდგომებს; აქტივობის განხორციელების ამსახველ ფოტო ან ვიდეო მასალას.*

☞ გთხოვთ, აირჩიოთ სარეკომენდაციო საკითხებიდან ერთ-ერთი:

1. სამყაროს წარმოშობისა და განვითარების თანამედროვე მეცნიერული თეორიები;
2. ელემენტარული ნაწილაკების კლასიფიკაცია და მათი ურთიერთქმედებების აღწერა;
3. ახალი აღმოჩენები ფიზიკაში და მათი მნიშვნელობა;
4. სასწავლო პროცესში განხორციელებული საუკეთესო საგნობრივი ან ინტეგრირებული პროექტი ან სხვა აქტივობა;
5. თავისუფალი თემა (თავისუფალი თემის არჩევის შემთხვევაში, შესაძლებელია წარმოდგენილი იქნას როგორც, სარეკომენდაციო საკითხებისგან განსხვავებული თემატიკა, ასევე ფიზიკის სწავლების თანამედროვე ან განსხვავებული მეთოდები).

☞ ზემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტაცია უნდა წარადგინოთ შემდეგ ელექტრონულ მისამართზე: ajaraedufund@gmail.com

დოკუმენტაციის წარდგენის ბოლო ვადაა 2023 წლის 9 თებერვალი (18.00 სთ)

შენიშვნა:

1. არასრული ინფორმაციის შემცველი განაცხადები არ განიხილება.
2. ვადების დარღვევით შემოსული განაცხადი არ განიხილება.

☞ ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირი:

თინათინ ციცხვაია

ფონდის კოორდინატორი

ა(ა)იპ აჭარის განათლების ფონდი

საკონტაქტო ტელეფონი: 599 58 58 31

მისამართი: ქ. ბათუმი, ბაგრატიონის ქუჩა #123